შალვა გლოველი

სამოხელეო ინსტიტუტები „აფხაზთა სამეფოში“

საქართველოს ისტორიაში **„მამასახლისის“** ინსტიტუტი ძველი დროიდანვე იღებს სათავეს. თავდაპირველად, როდესაც საზოგადოება კლასობრივი თანაცხოვრების ეპოქაში შევიდა, მამასახლისი ადგილობრივი სახელმწიფო მოხელე, ხელისუფლების წარმომადგენელი იყო; მაგრამ საგულისხმოა, რომ **„მამასახლისის“ ინსტიტუტის** მრავალგვარი სახე არსებობდა; იყვნენ **სოფლის მამასახლისები,** მათ, ხშირ შემთხვევაში, გლეხთა წრიდან ირჩევდნენ. ისინი ასრულებდნენ სოფლის მოხელის ფუნქციას. სოფლის მამასახლისის მოვალეობაში ადმინისტრაციული ფუნქციები შედიოდა; იყვნენ **ქალაქის მამასახლისები,** რომლებსაც ძირითადად ქალაქში სავაჭრო საქმეების მოწესრიგება ევალებოდათ; ასევე, ისინი მონაწილეობას იღებდნენ სასამართლო საქმეების გარჩევაში და სხვა. საინტერესოა სამონასტრო ცხოვრებაში „მამასახლისის“ ინსტიტუტის თავისებურება; მონასტრის წინამძღვარს და სამონასტრო ძმობის უფროსსაც მამასახლისი ერქვა. ისინი წარმოადგენდნენ **„სასულიერო მამასახლისებს“** და მათ ფუნქციაში, ბუნებრივია, სარწმუნოებრივი საკითხების გან¬ება-გარიგებაც შედიოდა. გარდა სარწმუნოებრივი საკითხებისა, „სასულიერო მამასახლისებს“ ევალებოდათ სამეურნეო საქმეების მოგვარებაც.

ლეონტი მროველის თხზულებაში, ქართული სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საუბრისას, არაერთხელაა ნახსენები „მამასახლისი“, როგორც უზენაესი ხელისუფალი. განსაკუთრებული ყოფილა **მცხეთის მამასახლისის** მდგომარეობა; ის თითქმის მეფესთანაა გაიგივებული და ქართლის სამეფოს დაარსების შემდეგ, სწორედ, „მამასახლისს“ ცვლის „მეფის ინსტიტუტი“; ლეონტი მროველის თხზულებაში, ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი, სწორედ მცხეთის მამასახლისის ძმისწულობით იხსენიება. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ძველად საქართველოში მამასახლისი სწორედ მეფეს ერქვა და ამავე დროს „თემის, ქალაქისა, დაბისა და საგვარეულოს მმართველსაც ეწოდებოდა“ (21. 171-172).

„მამასახლისის“ ინსტიტუტის არსებობა დადასტურებულია ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც; VI საუკუნის თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ ვკითხულობთ: „რაჟამს ამჴედრებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი“ (7. 34). ეს ციტატა ასახავს ქართლში მეფობის გაუქმების და ირანის მოხელის - მარზპანის მმართველობის ხანას. მაშასადამე, აქ ქართლის მეფის ინსტიტუტი გაუქმებულია, მაგრამ იხსენიება „ქართლის მამასახლისი“. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას აღნიშვნით, „ქართლის მეფის ხელისუფლება მამასახლისობიდან არ არის წარმომდგარი, რადგანაც მეფობის მოსპობის შემდეგაც ირანელები მამასახლისის ინსტიტუტს სტოვებენ, და რომ შესაძლებელია ქართლის მამასახლისის არსებობა მეფობის ხანაშიაც ვივარაუდოთ“ (22. 17).

საინტერესოა „მამასახლისის“ შესახებ ბაგრატ IV-ის სიგელში დაცული ცნობა: მეფემ მისცა მამული მიჯნაძორელებს, ხოლო ოპიზის მონასტერს სოფელი ბარევანი: *„...და ამისდა ნაცვლად, რ(აითა)მცა* ოპიზარნიცა *გულსავსე* ვყვენ, *სალოცველად სულისა* ჩემისა *თავსავე ჩემსა დავათმინე; ავიღე* ***სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩ(უე)ნისაგან*** (ხაზგასმა ჩვენია - შ.გ.) *ბარევანი* სოფელი და *მივეც* ოპიზართა სატრაპეზოდ. და *გარდავსწყუიდე* მათ შორის საზიდი და სარჩელი...“ (11. 33). ამის თაობაზე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მეფის პირად კერძო საკუთრებას „სამამასახლისო სამსახურებელი“ ჰრქმევია, თითონ ისიც (ე.ი. მეფეც) მამასახლისად ყოფილა მიჩნეული“ (21. 174). ამავე სიგელში, მკვლევართა ყურადღებას იქცევს ტერმინი *„ტანუტერი“*. ეს არის სომხური

წარმოშობის ტერმინი და „სახლის უფალს“ ნიშნავს. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით, მკვლევარი ხათუნა გვარაძე იზიარებს აზრს „ტანუტერთა“ და „ჴევისუფალთა“ იდენტურობის შესახებ. თავის მხრივ, ხ. გვარაძე ვარაუდობს, რომ მამასახლისები იგივე ხევისუფლები არიან. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მკვლევარი ბაგრატ IV-ის სიგელში მოხსენიებულ ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერებს ტაოსა და კლარჯეთის ხევისუფლებთან ანუ მამასახლისებთან აიგივებს (იხ. 4. 9-10).

აკად. აკაკი შანიძის გამოკვლევით, პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით, მამასახლისი მონასტრის წინამძღვარსაც და დიდმოხელესაც ეწოდებოდა (18).

ჩვენ ვნახეთ, თუ რამდენად მრავალმნიშვნელოვანი იყო საქართველოში „მამასახლისის“ ინსტიტუტი. გვაროვნული წყობიდან მოყოლებული ის შინაარსშეცვლილი ფორმით ფეოდალურ ხანაშიც გადმოვიდა. ივ. სურგულაძის განმარტებით, ფეოდალურ *საზოგადოებაში* მამასახლისი „ა). შესაძლებელია, მამასახლისის სპასპეტის სახელსაც ატარებდა. მამასახლისი ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო; ბ). ისევე როგორც ერისთავნი, მამასახლისნიც, ქართლის ფეოდალური არისტოკრატიის საზოგადოების მაღალ ფენას შეადგენდნენ; XI საუკუნისა და შემდეგდროინდელი ძეგლების ანალოგიის მიხედვით, IV-X საუკუნეების საქართველოში სოფლის მამასახლისობის ინსტიტუტიც უნდა არსებულიყო. სოფლის მამასახლისიც მოხელე იყო, მაგრამ მისი საქმიანობა სოფელს არ სცილდებოდა და ამასთანავე ამ ინსტიტუტში შეიმჩნევა გვაროვნული წყობილების გადმონაშთები“ (14. 169; მამასახლისის ინსტიტუტთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე: 15; 17; 13).

გვიანდელ ძეგლებში და შესაბამისად გვიანდელ ეპოქაში („ძეგლი ერისთავთა“, „ბიჭვინთის იადგარი“, „გრიგოლ სურამელის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი“, „ილარიონის გელათისადმი შეწირულობის წიგნი“... „სიგელ-გუჯრები“...), ასევე ოთხთავში (10; მისივე: 9, იხ. ლექსიკონი) დასტურდება „მამასახლისის“ ინსტიტუტის სხვადასხვაგვარი გაგება.

გარდა ზემოთქმულისა, ჩვენ გვაქვს ცნობა უშუალოდ „აფხაზთა სამეფოში“ სამონასტრო მამასახლისის ინსტიტუტის არსებობის შესახებ; კერძოდ, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ „აფხაზთა მეფის“ დემეტრეს თხოვნით გრიგოლ ხანძთელმა „აფხაზეთში“ დააარსა მონასტერი, რომელსაც უწოდა სახელად „უბწ“ (აქ საუბარი უნდა იყოს უბისაზე). ამ ახლად დაარსებულ მონასტერში მამა გრიგოლმა „ილარიონ ვინმე, იერუსალწმიით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ... აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი“ (5. 268). **ნათელია, რომ ამ შემთხვევაში „აფხაზთა სამეფოში“ სწორედ მონასტრის მამასახლისზეა საუბარი; საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, რომ მამა გრიგოლს ილარიონი მამასახლისად დაუდგენია სხვა თვისებებთან ერთად იმის გამოც, რომ მას თან ჰქონდა „კეთილნი წიგნნი“; ბუნებრივია, „კეთილ წიგნებში“ სასულიერო შინაარსის ლიტერატურა იგულისხმება და ჩანს, მამასახლისს მონასტერში არამარტო სამეურნეო საქმეების გარიგება ევალებოდა.**

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ IX-X საუკუნეებში „მამასახლისი“ ნიშნავს სახლის უფროსს (ოთხთავი), სოფლის მოხელეს, დიდმოხელეს და მონასტრის წინამძღვარს (14. 162). ეს განმარტება მთლიანად შეესაბამება „აფხაზთა სამეფოს“ არსებობის პერიოდს და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სახელმწიფოშიც ტერმინ „მამასახლისის“ გაგების ანალოგიურ შინაარსთან გვაქვს საქმე.

ახლა ვნახოთ კონკრეტულად რა კონტექსტში იხსენიებიან „მამასახლისები“ „აფხაზთა სამეფოს“ პერიოდის ეპიგრაფიკულ ძეგლებში: უბისას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის IX-X *საუკუნეებით* დათარიღებული, სტეფანეს სააღაპე წარწერა, გვამცნობს:

„† ბრძ(ა)ნ(ებ)ს წ(მიდა)ჲ გი(ორგ)ჲ: შ(ე)მოს(ა)წ(ი)რ(ა)ვი კ(ე)თ(ი)ლი შ(ე)მ(ო)სწ(ი)რა სტ(ე)ფანე და მე დღ(ე)ჲ უბ(ო)ძე წ(მიდ)ჲსა სტ(ე)ფ(ა)ნ(წ)სი.

ვინცა მ(ა)მას(ა)ხლისი ბრძ(ანდებოდე)თ გ(ა)რ(დაი)ჯდ(იდე)თ-თუ(ა)რა ღ(მერთმა)ნ მ(ო)გჯ(ა)დ(ო)ს, ა(მე)ნ“(16. 28-29).

უბისის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის გარდა „მა*მასახლისი*“ იხსენიება ჯოისუბნის, ნესგუნის, ჩვაბიანის ეკლესიების წარწერებში:

ჯოისუბნის ეკლესიის X საუკუნის წარწერაში ვკითხულობთ:

*„წ(*მიდა*)ო ეკლესიაო, შ(ეიწყალ)ე* გ*(ა)*ბ*(რიე)ლ მამასახლისი“* (16. 46-47);

ნესგუნის (ლენჯერი), მაცხოვრის ეკლესიის („მაცხვარ“) X საუკუნის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ:

„ქ(რისტე), შ(ეი)წყ(ალ)|ე მ(ა)[მ](ა) | გ*(ა)*ბ*(რი)|ე[ლ]“* (12. 118); აქ პროფ. ვალერი სილოგავა „მამა გაბრიელი“-ს მაგივრად უშვებს „მამასახლისი გაბრიელი“-ს წაკითხვის შესაძლებლობასაც;

საინტერესოა ჩვაბიანის (მუჟალი) მაცხოვრის ეკლესიის („მაცხვარ“) X საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი წარწერის შინაარსი, რომელიც გვამცნობს:

„[† ს]ახელით(ა) ღ(მრ)თის(ა)ჲთა, | [მამ[ას(ა)ხლისობასა ლ(ა)ზ(ა)რე | [ს]ა აეშენა წ(მიდა)ჲ ესე ეკლე[სია]ჲ და მისსავე ზაობა[ს]ა მოიწერა; ქ(რისტ)ე, შეუნდვ | [ენ] სულსა მისსა ცოდვა | [ნ]ი და მარჯუენით შ(ე)ნსა | [ღი]რს ყავ დღესა მას გ*(ა)*ნ *| [კი]თხვისასა; ა(მე)ნ“* (12. 65).

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ეკლესიის აგება კონკრეტული მამასახლისის (ლაზარეს) ზეობითაცაა დათარიღებული (ამავე ეკლესიის სხვა წარწერებში მოხსენიებულნი არიან „მეფე აფხაზთა“, ერისთავები, ქტიტორები). როგორც ჩანს, ჩვაბიანში ლაზარე მამასახლისი არის ან საერო ხელისუფალი, დიდმოხელე, ანდა ის გვევლინება სწორედ ე.წ. „სასულიერო მამასახლისად“. ის საკუთარ თავს აძლევს უფლებას, რომ ეკლესიის ცალკე წარწერაში მისი ზეობის აღნიშვნითაც დათარიღდეს ეკლესიის აგება და შემდგომ მისი მოხატვაც. ჩვენი აზრით, ლაზარე მამასახლისი, თავისი თანამდებობრივი თუ წოდებრივი მდგომარეობით, აშკარად განსხვავდება ზემოთ მოტანილი ეკლესიების წარწერებში მოხსენიებული მამასახლისებისგან და ამის მიზეზად სწორედ მამასახლისის ინსტიტუტის მრავალმხრივობა და მრავალსახეობა გვესახება, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მაშასადამე, ისტორიული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება „აფხაზთა სამეფოში“ მოღვაწე მამასახლისები:

1. უბისაში მოღვაწე მამასახლისი, რომლის სახელიც უცნობია - IX-X სს.

2. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით - „უბწ“-ში (უბისაში) მოღვაწეობდა ილარიონ მამასახლისი - IX საუკუნე (825-861 წლებს შორის, დემეტრე II „აფხაზთა მეფის“ ზეობის პერიოდში) (6). არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ უბისას ეკლესიის წარწერაშიც საუბარი იყოს სწორედ ამ ილარიონ მამასახლისზე; დათარიღების მიხედვით, შესაძლებელია ერთი და იმავე მამასახლისზე მოგვითხრობდეს როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ასევე, უბისას ეკლესიის წარწერაც.

3. ჯოისუბანში მოღვაწე მამასახლისი - გაბრიელი - X ს.

4. სავარაუდოდ, ნესგუნში (ლენჯერი) მოღვაწე მამასახლისი (?) - გაბრიელი - X ს.

5. ჩვაბიანში მოღვაწე მამასახლისი - ლაზარე - X ს-ის II ნახევარი.

„აფხაზთა სამეფოში“ არსებულ სამოხელეო ინსტიტუტის არსებობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ბედიის ტაძრის სვიმონ გალატოზთაუხუცესის წარწერა:

„წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშობელო, მე(ო)ხ ე | ქმ(ე)ნ წ(მიდას)ა ამ(ი)ს ს(ა)ყდრ(ისა) ამ | შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლს, გ*(ა)*ლ*(ა)*ტ*(ო)*ზ*თ*ა*უ*ხ*(*უ*)*ც*(*ე*)*ს*(*ს*) | *ს(ჯ)*მ*(*ეო*)*ნ*ს*“

ტერმინი „გალატოზი“ არაერთ წარწერაში გვხვდება, მაგრამ „გალატოზთაუხუცესი“ უფრო იშვიათი ტერმინია. ის გვხვდება გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერაში (გალის რ/ნ-ის სოფ. დიხაზურგი) (16. 83, № 69), რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება და შორეთის მონასტრის მინაშენის წარწერაში (ასპინძის რ/ნ-ში) ნიკოლოზ გალატოზუხუცესის შესახებ საუბრისას (2. 213-214; 3. 7). აღნიშნული წარწერა პროფ. ვ. სილოგავას მიერ დათარიღებულია X საუკუნით. ბედიის ტაძარი, როგორც აღვნიშნეთ, აგებულია ბაგრატ III-ის მიერ და ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა X საუკუნის II ნახევარში. თუმცა, კარგადაა ცნობილი, რომ ტაძრის ადგილას უფრო ძველი ნაგებობა არსებობდა (20. 77; 8. 54; 23. 193). ამ მოსაზრებას ამყარებს აგრეთვე ბედიის მხატვრობისა და პალეოგრაფიული ნიმუშების შესწავლაც (24. 8; 19. 504-511; 25. 42-66). აღნიშნული წარწერა საგანგებოდ შეისწავლა ლ. ახალაძემ და საკმაოდ დამაჯერებლად გვიGვენა, რომ წარწერა X საუკუნისაა და მასში დაცულია ცნობა X საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სამეფო კარის სამოხელეო ტერმინ - „გალატოზთუხუცესის“ შესახებ და შემონახულია ამავე სახელოს მფლობელი ხუროთმოძღვარ სჯმეონის სახელი (1. 21). ფაქტობრივად, ტერმინი - „გალატოზთაუხუცესი“ წარწერებში პირველად გვხვდება ბედიის წარწერაში. ის ყველაზე ადრე დაფიქსირებულია სწორედ X საუკუნეში, „აფხაზთა სამეფოს“ არსებობის პერიოდში და დღესდღეობით არსებული წყაროების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველად ეს ინსტიტუტი სწორედ ამ სამეფოში ჩამოყალიბდა.

ბიბლიოგრაფია:

1. ლია **ახალაძე.** ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVIII სს. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 1999.
2. ვახტანგ **ბერიძე.** სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI სს. თბ. 1955.
3. ვახტანგ **ბერიძე.** ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები. თბ. 1956.
4. ხათუნა **გვარაძე.** მამასახლისის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 2002.
5. **გიორგი მერჩულე.** შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (V-X სს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963.
6. შალვა **გლოველი.** „აფხაზთა სამეფო“ და „მამასახლისის“ ინსტიტუტი. კრ. „საისტორიო შტუდიები“. IV. თბ. 2003.
7. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. თბ. 1964.
8. ირმა **ვარსიმაშვილი.** ბედია. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. № 31-32. 1973.
9. ივანე **იმნაიშვილი.** ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. თბ. 1949.
10. ივანე **იმნაიშვილი.** ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. თბ. 1948.
11. სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984.

12. სვანეთის წერილობითი ძეგლები. II. ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ. თბ. 1988.
13. ივანე **სურგულაძე.** მამასახლისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 6. თბ. 1983.
14. ივანე **სურგულაძე.** მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ. ჟურნ. „მაცნე“. ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია. №4. თბ. 1972.
15. ივანე **სურგულაძე.** საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. 1. თბ. 1952.
16. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ. 1980.
17. აკაკი **შანიძე.** მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში. ჟურნ. „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია“. №1. თბ. 1971.
18. აკაკი **შანიძე.** ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბ. 1971.
19. რენე **შმერლინგი.** ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XVIII. № 4. თბ. 1957.
20. ლევან **ხიმშიაშვილი.** რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბედია). ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. № 14. თბ. 1968.
21. ივანე **ჯავახიშვილი.** ქართული სამართლის ისტორია. I. ტფ. 1928.
22. სიმონ **ჯანაშია.** ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ნარკვევი ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში. შრომები. I. თბ. 1949.
23. **Северов Н. С.** Памятники грузинского зодчества. Тбилиси. 1947.
24. **Толмачевская Н. Н.** Фрески Грузии. Тбилиси. 1931.
25. **Шервашидзе Л. А.** Средневековая монументальная живопись в Абхазии. Тбилиси. 1980.

Shalva Gloveli

State institutions in the "Kingdom of Abkhazians"

The article deals with the complexity of the “mamasakhlisi” and “Galatoztukhutsesi” institutions. Against the background of the data the conjeeture of existence of his institutions in Abkhaz Kingdom is proved. The meaning of this institutions has been analysed. There is an opinion that the forms of this institutions varied in Abkhaz Kingdom. Through the analyses of the village and monastic hagiography the idea is advanced that in the Abkhaz Kingdom “Mamasakhlisi” was not only in charge of economic affairs. Trough the data of “the Life of Grigol Khantsteli” by Giorgi Merchule personalities of Abkhaz Kingdom’s Mamasakhlisis have been clarified. The position of Galatoztukhutsesi is also recorded for the first time in the Abkhazian Kingdom.